



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტის
საზ. სააქტნო კოლეჯი

„ვამტკიცებ“

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო
უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“

დირექტორი მ. ტვილდიანი
ბრძანება № 07; 16.09.2017წ

ცვლილებები:

დირექტორის 2018 წლის 07 ივნისის ბრძანება N 09 განახლებული რედაქცია



დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. სამსახურის შესახებ

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა უსაფრთხოების, ასევე დანერგულების მატერიალური და არამატერიალური ქონების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია კოლეჯის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.

მუხლი 2. სამსახურის სპეციალისტები

1. სამსახურის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტ(ებ)ი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.
2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალიტ (ებ)ი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებული არიან კოლეჯის დირექტორის წინაშე.

მუხლი 3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტების ფუნქციები

1. შენობა-ნაგებობის, კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრის , სიმულაციური ოთახის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
2. სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვის უზრუნველყოფა;

3. ელ.ენერჯის, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის, დაცვის, უსაფრთხოებისა და სხვა სისტემების საქმიანობის კოორდინაცია;
4. კოლეჯის სასწავლო ოთახების, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა;
5. ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოების ზომების გატარება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის უწყებებთან დაკავშირება (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.);
6. დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებული უსაფრთხოების კამერების გამართულ ფუნქციონირებაზე ზრუნვა, ხოლო საექვო ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციისა და შესაბამისი სამსახურების ინფორმირება;
7. სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა კოლეჯის ტერიტორიაზე;
8. უზრუნველყოს დაწესებულებაში წესრიგის დაცვა, რაც გულისხმობს სტუდენტ ბისათვის ან/და მესამე პირებისათვის ამგვარის მონოღებას, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციისათვის შეტყობინებას შემდგომი რეაგირების მიზნით.

მუხლი 4. დაწესებულებაში არსებული ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოების ზომები:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისადაც საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტების მითითებების შესაბამისად, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება;
2. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსა და სანაღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები, რომლის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ქმედებების, ვარგისიანობის ვადის კონტროლსა და სხვა ინსტრუქციით გათვალისწინებულ ქმედებებზე პასუხისმგებელია სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი (სპეციალისტი).
3. აკრძალულია კოლეჯის ტერიტორიაზე (ეზო, ლაბორატორია, სასწავლო- ადმინისტრაციული კორპუსი) ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა, რომლის კონტროლსაც ახორციელებს სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სპეციალისტი).

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ასევე დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. დებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე და მისი შესრულების კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაცია.